სამეცნიერო კონფერენციის “ევროკავშირის გაფართოება - პრობლემები და პერსპექტივები“ თეზისების კრებული

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2019 წელი.

თბილისი.

ევროკავშირის წინაშე არსებული გამოწვევები და ევროპის გაფართოების პრობლემა

ვალერი მოდებაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დაარსების დღიდან ევროკავშირი რამდენჯერმე გაფართოვდა, მაგრამ დღეს ის მრავალი გამოწვევის წინაშე დგას (შიდა და გარე), რომლებიც აფერხებს მის შემდგომ გაფართოებას. ძველი კონტინენტის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1. ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი

2. პოპულიზმის აწევა და ევროსკეპტიციზმი

3. გაერთიანებული სამეფოს გადაწყვეტილება დატოვოს ევროკავშირი, ბრექსიტი (Brexit).

4. მიგრაციის კრიზისი და გაძლიერებული ტერორიზმის საფრთხე

5. კრემლის მზადყოფნა, ხელი შეუშალოს ევროკავშირის გაფართოებას

6. ყოფილი კომუნისტური ქვეყნების უუნარობა გაატარონ სწორად დემოკრატიული რეფორმები.

წინამდებარე პრეზენტაციის მიზანია იმ საფრთხეების გაანალიზება, რომლებმაც შეიძლება წერტილი დაუსვან ევროინტეგრაციის პროცესს. ბებერი კონტინენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევად ითვლება **ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი.** 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა ძალიან დაბალია და გაუმჯობესების ნიშნები ჯერ-ჯერობით არ შეინიშნება. ეკონომიკურმა დაღმასვლამ უარყოფითად იმოქმედა ევროკავშირის რეპუტაციაზე, როგორც მიმზიდველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებზე.

პოპულიზმის აღზევება და ევროსკეპტიციზმი კიდევ ერთი სერიოზული საფრთხეა, რომლის წინაშეც დღეს ევროკავშირი დგას. ევროპაში რადიკალური პარტიების პოპულარობა იზრდება. ამ პარტიების ლიდერებს სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ ევროკავშირის მიმართ და თუ ისინი ხელისუფლებაში მოსვლას მოახერხებენ,

სავარაუდოდ დაიწყებენ ბრძოლას ბრექსიტის მსგავსი რეფერენდუმების მოსაწყობად და მოითხოვენ თავიანთი სამშობლოს გასვლას ევროკავშირიდან.

მესამე გამოწვევა, რომლის წინაშეც ევროკავშირი დგას, არის **გაერთიანებული სამეფოს გადაწყვეტილება ევროკავშირის დატოვების შესახებ**, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ბრექსიტი. ევროკავშირის ლიდერებს განსაკუთრებით "დომინოს ეფექტის" ეშინიათ. გაერთიანებული სამეფოს გასვლამ შეიძლება დააჩქაროს ევროკავშირის დაშლის პროცესი, რაც გამოიწვევს როგორც რეგიონის, ასევე მთელი მსოფლიოს დესტაბლიზაციას.

მეოთხე გამოწვევა, რომლის წინაშეც ევროკავშირი დგას, არის მიგრაციის კრიზისი და გაძლიერებული ტერორიზმის საფრთხე. მიგრაციულმა პროცესებმა გამოიწვია ევროკავშირში დანაშაულის ზრდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ტერორისტული თავდასხმების რაოდენობა და ეთნიკური კონფლიქტები. ამ პროცესმა ნაყოფიერი ნიადაგი მოამზადა დემაგოგებისა და პოპულისტური პარტიების აღსაზევებლად.

მეხუთე გამოწვევა, რომლის წინაშეც ევროკავშირი დგას, არის კრემლის მზადყოფნა, ხელი შეუშალოს ევროკავშირის გაფართოების პროცესს. თავდაპირველად მოსკოვი არ ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის გაფართოებას, მაგრამ მოგვიანებით მიხვდა, რომ თუ ეს პროცესი გაგრძელდებოდა, რუსეთი დაკარგავდა გავლენის სფეროს პოსტსაბჭოთა სივრცეში. რუსეთი აპირებს გააძლიეროს თავისი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში და, შესაბამისად, ევროკავშირს აღიქვამს, როგორც გეოსტრატეგიულ კონკურენტს.

მეექვსე გამოწვევა, რომლის წინაშეც ევროკავშირი დგას, არის ყოფილი კომუნისტური ქვეყნების უუნარობა გაატარონ ეფექტურად დემოკრატიული რეფორმები. აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობა წარუმატებელია დემოკრატიის მშენებლობის სფეროში, ვერ ახერხებს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკისა და ეფექტური პოლიტიკური სისტემების შექმნას. ზემოხსენებული პრობლემების გამო, ამ ქვეყნებისთვის ძალიან რთული იქნება კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება და ევროკავშირში გაწევრიანება.

Challenges facing the European Union and Europe's enlargement problem

Valeri Modebadze

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Abstract

Since its establishment, the EU has expanded several times, but today it faces many challenges (internal and external) that hinder its further expansion. Among the most prominent challenges that the old continent is facing, we have to mention the following:

1. the economic and financial crisis
2. The rise of populism and Euroscepticism
3. The United Kingdom's exit from the European Union also known as "Brexit"
4. The migration crisis and a heightened terrorism threat
5. The Kremlin's readiness to prevent EU enlargement
6. The inability of the former communist countries to carry out democratic reforms.

The aim of this presentation is to describe those threats that can put an end to the European integration process. Perhaps the most prominent challenge for the Old continent is **the economic and financial crisis.** After the 2008 global financial crisis average annual growth is very low and there are no signs of improvement. The economic slowdown has affected negatively EU's reputation as an attractive economic and political union.

The rise of populism and Euroscepticism is another serious threat that the European Union is facing nowadays. The popularity of extremist parties in Europe is on the rise. The leaders of these parties have skeptical attitudes towards the European Union and if they will come to power, are more likely to start fighting for organizing referendums similar to Brexit and will demand the exit of their homelands from the European Union.

The third challenge that the European union faces is **the United Kingdom's decision to leave the European Union, also known as Brexit**. The leaders of the European Union are especially afraid of "Domino Effect." The United Kingdom's exit may accelerate the disintegration process in the European Union, destabilizing not just the region, but the entire world.

The fourth challenge that The European Union faces is **the migration crisis and a heightened terrorism threat.** Migration processes led to the rise of crime in the European Union, the number of terrorist attacks and inter-ethnic conflicts increased significantly and this process has created a fertile ground for the rise of demagogues and leaders of populist parties.

The fifth challenge that the European Union faces is **the Kremlin's readiness to prevent enlargement of the European Union.** Initially Moscow did not oppose expansion of the European Union, but later it realized that if this process continued, Russia would lose its zone of influence in the post-Soviet space. Russia intends to strengthen its influence in the post-Soviet space and therefore, sees the European Union as a geostrategic competitor.

The sixth challenge that the European Union faces is **the inability of the former communist countries to carry out democratic reforms.** The vast majority of the post-Communist countries of Eastern Europe are unable to build up modern democracies, functioning market economies and efficient political systems. Due to the above mentioned problems, it will be very difficult for these countries to meet the Copenhagen criteria and join the European Union.

Key words: EU expansion, economic crisis, The rise of populism and Euroscepticism, Brexit.

საბიუჯეტო ფედერალიზმი საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში

ნოდარ გრძელიშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი- ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.

აბსტრაქტი

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურების დონეებსა და ერთეულებს შორის ფინანსური ნაკადების ფორმირება და განაწილება. საბიუჯეტო-საგადასახადო ურთიერთობებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო ფედერალიზმს.

„საბიუჯეტო ფედერალიზმი" მრავალასპექტიანი რთული მექანიზმია, რომლის ძირითადი მიზანია „ცენტრსა" და „რეგიონს" შორის ფუნქციათა და უფლება-მოსილებათა გამიჯვნის კვალობაზე, (ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე „მეტი ფუნქციების" დელეგირების გათვალისწინებით) ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საბიუჯეტო ფედერალიზმის რეალიზაცია არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც უამრავ სიძნელესთანაა დაკავშირებული, სახელდობრ: რთულია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრა, საბიუჯეტო სახსრების განაწილებასა და გა-

დანაწილებაში სამართლიანობის დაცვა, რეგიონების ინტერესების ერთმანეთთან და ცენტრთან შეთანხმება. საბიუჯეტო რეგულატორები, ხშირად, ეკონომიკური ზემოქმედების საშუალებიდან ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ბერკეტად იქცევა.

საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემამ უნდა უზრუნველყოს: ტერიტორიული ინტეგრაცია, ეკონომიკური ეფექტიანობა, საბიუჯეტო პასუხისმგებლობა, სოციალური სამართლიანობა, პოლიტიკური კონსოლიდაცია.

Budget Federalism in Georgia and EU Countries

Nodar Grdzelishvili

New Higher Education Institute - Doctor of Economics, Professor.Georgia

Abstract

An important element of the system of state regulation of the economy is the formation and distribution of financial flows between levels and units of the state's territorial structures. Budgetary-tax relations are of particular importance in budget-tax relations.

"Budgetary federalism" is a complex multi-faceted mechanism and its main purpose is to ensure that the country's budgetary system functions effectively, with the separation of functions and entitlements between the center and the region (while delegating "more functions" to local authorities).

The realization of budget federalism is not only difficult in Georgia but also in various European countries, namely: it is difficult to determine the socio-economic opportunities and needs of the regions, the fairness of the allocation and distribution of budget funds, the agreement of regional interests with each other and with the Center. . Budgetary regulators often turn administrative-political leverage out of economic influence.

The system of budget federalism should ensure: territorial integration, economic efficiency, budgetary responsibility, social justice, political consolidation.

ქართული ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაცია

პაატა ტურავა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში ევროპეიზაციის ცნება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან გახდა სამეცნიერო ინტერესის საგანი, რასაც ევროპული ადმინისტრაციული სამართლის ჩამოყალიბებამ დაუდო საფუძველი, რომელიც, თავის მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ეროვნული სამართლებრივი წესრიგების ურთიერთგავლენით ხასიათდება. ამდენად, სამართლის ევროპეიზაცია არის ევროინტეგრაციის ჭრილში ეროვნული და სუპრანაციონალური სამართლებრივი სისტემების ერთმანეთთან დაახლოების დინამიური პროცესი. ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაციის ფუნქცია არის ევროკავშირის ფარგლებში ერთიანი, უნიფიცირებული, კონფორმისტული სამართლებრივი წესრიგის შექმნა.

Europeanization of Georgian Administrative Law

Paata Turava

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Abstract

The notion of Europeanization in the science of administrative law has been the subject of scientific interest since the 1980s, with the founding of European administrative law, which in turn is characterized by the interplay between the European Union and the European legal order. Europeanization of law is thus a dynamic process of bringing national and supranational legal systems closer together in the context of European integration. The function of Europeanization of administrative law is to create a unified, uniform, conformist legal order within the EU.

ევროკავშირს და ნატოს შორის სამხედრო თანამშრომლობის გამოწვევები

ლევან ნიკოლეიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ნატო, სახელმწიფო, უსაფრთხოება

ნაშრომში წარმოადგენს ევროკავშირისა და ნატოს შორის არსებულ სამხედრო თანამშრომლობის გამოწვევებისა და ამ გამოწვევების გადაჭრის გზების მიმოხილვას. დღევანდელ მსოფლიოში მუდმივად არსებობს უსაფრთხოების პრობლემები, ამიტომაც ევროკავშირმა დაიწყო თვით კავშირისა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნუნველყოფაზე მუშაობა. აღნიშნული პრობლემა, ხშირ შემთხვევაში, სცილდება ცალკეული სახელმწიფოების საზღვრებს და პირდაპირ თუ ირიბად ევროკავშირსა და მის მოქალაქეებს ეხება.

იმ საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე, რაც დღეს ევროპის წინაშეა, ცხადია დღის წესრიგში დგას ძლიერი სამხედრო პოტენციალის არსებობა. დღეს ევროპაში მთავარ სამხედრო ალიანსად კვლავ ნატო რჩება. მის შემადგენლობაში, ევროკავშირის 22 სახელმწიფო, 5 ევროკავშირის არაწევრი ევროპული ქვეყნა (ალბანეთი, ისლანდია, ნორვეგია, თურქეთი და ჩერნიგორია), აშშ და კანადაა. თუმცა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლის გათვალისწინებით, ევროკავშირის-საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) განვითარება ეჭვს იწვევს.

ევროპული ინტეგრაციის სამხედრო ფორმები 21-ე საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა, რამაც ევროკავშირის მრავალრიცხოვანი სამშვიდობო მისიების განთავსება და საბრძოლო ჯგუფების ჩამოყალიბებამ განაპირობა. ევროპული სახმელეთო ძალები, ჟანდარმერია და საჰაერო სატრანსპორტო სარდლობა სამთავრობო სტრუქტურებს წარმოადგენენ და საერთო საგარეო პოლიტიკსა და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ფარგლებში არ მოიაზრებიან.

ევროკავშირის 6 წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებულია ბირთვული იარაღი; (საფრანგეთს და გაერთინაბულ სამეფოს თავინათი გააჩნიათ), ხოლო ბელგიის, გერმანიის, იტალიისა და ნიდერლანდების ტერიტორიაზე განთავსებულია ამერიკული ბირთვული ავიაბაზები (ნატოს ეგიდით). საერთო ჯამში ევროკავშირის ტერიტორია აშშ-სა და რუსეთის შემდეგ, მესამე ადგილზე ბირთვული არსენალის მიხედვით. ევროკავშირის ყველა ქვეყანა თვითონ განსაზღვრავს თავისი თავდაცვის პოლიტიკას. ამ საკითხის კორდინაცია არა ევროკავშირის, არამედ

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფარგლებში ხდება. ევროკავშირი პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციაა, რომელიც პოლიტიკის და ეკონომიკის ბევრ სფეროს ეხება, ნატო კი მიუხედავად სამხედრო-პოლიტიკური დატვირთვისა, უმეტესწილად, პირველ რიგში, მაინც სამხედრო ალიანსადაა აღქმული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორივე ორგანიზაცია დაფუძნებულია საერთო ღირებულებებზე და უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიულ საკითხებში ერთნაირ შეხედულებებს იზარებენ.

2018 წლის 10 ივლისს ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იანს სტოლტენბერგმა, ევროკავშირის თავჯდომარე დონალდ ტუსკმა და ევროკომისიის თავჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერმა ხელი მოაწერეს ნატოსა და ევროკავშირის ერთობლივ დეკლარაციიას. დეკლარაციაში, რომელიც მიღებულია ვარშავაში, ხელმოწერილი ხელშეკრულების ორი წლის თავზე, ნათქვამია, რომ ნატო და ევროკავშირი აძლიერებენ ურთიერთობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამხედრო მობილობა და ტერორიზმთან ბრძოლა, ასევე განსაზღვრავენ იმ რისკებს, რომელიც დაკავშირებულია რადიოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური, ბირთვული ნივთიერებებისა და შეიარაღების გაუვრცელობასთან. ორივე ორგანიზაცია ბოლო წლებია აქტიურად თანამშრომლობს საზღვაო უსაფრთხოების, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლისა და უსაფრთხოების სფეროში. ნატო და ევროკავშირი ცვლიან რა რეალურ დროში გაფრთხილებებსა და შეტყობინებებს კიბერთავდასხმების შესახებ, ატარებენ და მონაწილეობენ სწავლებებში და ერთობლივად მუშაობენ მიგრანტებისა და ლტოლვილების კრიზისების რეაგირების საკითხებში. დეკლარაცია მიესალმება ევროკავშირის სულისკვეთებას განვითარდეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. ეს მხოლოდ გააძლერებს ნატოს და არ ჩამოყალიბდება/ შეიქმნება მის ალტერნატივად.

Challenges of military cooperation between the EU and NATO

Caucasus International University

Levan Nikoleisvili

Key words: max: EU, NATO, State, Security

The paper provides an overview of the challenges of military cooperation between the EU and NATO and the ways to address these challenges. Security problems do constantly exist in nowadays world, that is why EU has started to work ensuring the security of the Union itself and its citizens. This problem often goes beyond the borders of individual states and

directly or indirectly applies to the EU and its citizens. Due to dangers and challenges facing Europe today, there is clearly a strong military potential on the agenda. NATO still remains the main military alliance in Europe today. It comprises 22 EU states, 5 non-EU countries (Albania, Iceland, Norway, Turkey and Montenegro/Chernogoria), the US and Canada. Given the role of the North Atlantic Alliance, the development of the EU-Common Security and Defense Policy (CSDP) raises doubts. Military forms of European integration intensified in the early of 21st century, which led to the deployment of numerous EU peacekeeping missions and the formation of combat groups. The European Land Forces, Gendarmerie and Air Transport Command represent government agencies and they are not considered within the framework of the Common Foreign and Security Policy /CFSP/.

Nuclear weapon is deployed on the territory of six EU member states; (France and the United Kingdom have their own ones), while American nuclear air bases (under the auspices of NATO) are deployed on the territory of Belgium, Germany, Italy and the Netherlands. Overall, the European Union ranks third after the US and Russia in terms of nuclear arsenal. Every EU country defines its own defense policy itself. Coordination for this issue is not done by the EU, but by the North Atlantic Alliance. The EU is a political-economic organization that deals with many areas of politics and economics, and NATO, despite its military and political commitment, most primarily perceived as a military alliance. However, it should also be noted that these two organizations are based on shared values and share similar views on strategic security and defense issues.

On 10 July 2018, in Brussels, Secretary General of the North Atlantic Treaty Organization Jens Stoltenberg, President of the European Union Donald Tusk and President of European Commission Jean-Claude Juncker signed a joint declaration on NATO and the European Union. The Declaration, adopted in Warsaw after signing the treaty on its second years' anniversary was said NATO and the European Union are to strengthen relations in such fields like military mobility and the fight against terrorism, define risks related to the non-proliferation of radiological, chemical, biological, nuclear substances and weapons as well. Both organizations have actively cooperating in the field of maritime security, hybrid threats and security in recent years. NATO and the European Union are changing real-time warnings and alerts on cyber-attacks conducting and participating in training and jointly working on responding to the issues of migrants and refugees crises. The Declaration welcomes the EU's spirit to develop the issues in defense and security. This will only make NATO stronger and will not be created as its alternative.

მარიამ ხატიაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰიბრიდული ომი: რუსეთის პასუხი საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე?

აბსტრაქტი

მოხსენების მთავარი მიზანია იმის გაანალიზება, წარმოადგენს თუ არა ჰიბრიდული ომი რუსეთის პასუხს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. კვლევის ობიექტია თანამედროვე საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ტაქტიკა. კვლევის ამოცანებია: თანამედროვე საქართველოში რუსეთის ჰიბრიდული ომის ტაქტიკის - პროპაგანდისა და რბილი ძალის - მიზნების მიმართების გარკვევა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებთან და ეროვნულ ინტერესებთან; საქართველოს საგარეოპოლიტიკურ მისწრაფებასა და პრიორიტეტებზე რუსეთის რბილი ძალის გავლენის შესწავლა. მოხსენება უმთავრესად ეფუძნება თანამედროვე საქართველოსა და რუსეთის საგარეოპოლიტიკურ დოკუმენტებს. ამ დოკუმენტების განხილვა საკითხის შესაფასებლად მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნული კვლევა ინტერდისციპლინურია. მისი მეცნიერული შესწავლა აერთიანებს ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სხვადასხვა დარგს. კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა ეფუძნება ამ მეცნიერებებში აპრობირებულ სხვადასხვა – როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის – მეთოდს. კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ პირველ ათწლეულს (2008-2018 წწ.). მოხსენებაში თანამედროვე საქართველოში რუსეთის ჰიბრიდული ომის მექანიზმები საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებითაა განხილული. კვლევის

მიხედვით დადგინდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩამოყალიბებული გარემო, რომელშიც საქართველოს თანამედროვე საგარეოპოლიტიკური მიზნები ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთანაა დაკავშირებული, რუსეთის მიერ განხორციელებული რბილი ძალის მოქმედებების გამო, გამოწვევების წინაშეა. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ რუსეთი ჰიბრიდული ომის მექანიზმებს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საპასუხოდ იყენებს.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, რბილი ძალა, საგარეო პოლიტიკა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, საქართველო, რუსეთი

Mariam Khatiashvili

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Hybrid Warfare: Russia's Response to Georgia's European and Euro-Atlantic Integration?

Abstract

Aim of this paper is to analyze whether Hybrid Warfare is Russia's response to Georgia's European and Euro-Atlantic Integration. Research focuses on the evaluation of the Russia's Hybrid Warfare tactics in modern Georgia. Research aims to study the objectives of the Russia's Hybrid Warfare tactics – propaganda and soft power – in connection with Georgia's foreign policy priorities and national interests related to European and Euro-Atlantic integration. It examines the impact of Russia's soft power on Georgia's foreign policy aspirations and priorities. Paper is based on the primary sources, such as foreign policy documents of Georgia and Russia. These documents are essential to analyze the issue. The present research is interdisciplinary, as it combines various academic fields from the

humanities, social and political sciences. Its methodological framework combines quantitative and qualitative research methods. Research chronological framework highlights the first decade after the Russo-Georgian War of 2008 (2008-2018). Author discusses Russia's Hybrid Warfare tactics in modern Georgia related to Georgia's European and Euro-Atlantic integration. Research shows that after the Russo-Georgian War of 2008 Georgia's foreign policy objectives are closely related to European and Euro-Atlantic integration, and that Georgia's foreign policy is challenged by Russia's soft power. Research results indicate that Russia seems to use Hybrid Warfare mechanisms as a response to Georgia's European and Euro-Atlantic integration.

Keywords: Hybrid Warfare, Soft Power, Foreign Policy, European and Euro-Atlantic Integration, Georgia, Russia.

დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები

მარიამ ბიწაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აბსტრაქტი

ევროკავშირი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და მიმზიდველ ორგანიზაციას მსოფლიოში, რომელიც ცდილობს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებას ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის საშუალებით. კავშირმა ცვლილებების, განვითარებისა და გაფართოების რიგი პროცესები გაიარა და ამ ფონზე იგი დღეს მოიცავს 28 სუვერენულ სახელმწიფოს. საინტერესოა გაფართოებასთან დაკავშირებული ასპექტები, გამოწვევები და შესაძლებლობები კანდიდატი ქვეყნებისთვის (ალბანეთი, მონტენეგრო, მაკედონია, სერბეთი).

აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანია აჩვენოს კანდიდატი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები, კერძოდ დადგენილ იქნა რამდენად აკმაყოფილებენ კანდიდატი ქვეყნები

ევროკავშირის წევრობისთვის განსაზღვრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს. გაანალიზებულ იქნა კანდიდატ ქვეყნებში მოქმედი ინსტიტუტების სტაბილურობის დონე საერთშორისო ანგარიშებზე დაყრდნობით და ასევე მაასტრიხტის ხელშეკრულებით მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე შეფასებულ იქნა სამიზნე ქვეყნები და დავადგინეთ ექნებოდათ თუ არა დღეის მდგომარეობით აღნიშნულ ქვეყნებს შესაძლებლობა იმისა, რომ გამხდარიყვნენ ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრები. განხორციელებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილ იქნა ის გამოწვევები კანდიდატი ქვეყნებისთვის, რომელთა დაძლევა უზრუნველყოფს მათ შემდგომ განვითარებას და ევროკავშირის წევრობას.

საკვანძო სიტყვები: ევროინტეგრაცია, კანდიდატი ქვეყანა, პოლტიკური კრიტერიუმი, ეკონომიკური კრიტერიუმი

Problems and Future Prospects of Western Balkan Countries Related to EU Integration

Mariam Bitsadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Abstract

The European Union is one of the most progressive and attractive organization in the world, which seeks to maintain peace between sovereign states through economic and political integration. The union has gone a number of processes of change, development and expansion and in the light of this, it now includes 28 sovereign countries. The aspects, challenges and opportunities for candidate countries (Albania, Montenegro, Macedonia, Serbia) related to EU enlargement are interesting.

Therefore, the purpose of this paper is to show the problems and future prospects of candidate countries related to EU Integration. In particular, it was determined whether the candidate countries meet the political and economic criteria for EU membership and analyzed the stability level of the institutions operating in the candidate countries based on international reports. Target countries were evaluated on the basis of those criteria, which were set out by the Maastricht Treaty and determined whether these countries would now be able to become members of the Economic and Monetary Union. The research identified challenges for candidate countries, which overcoming ensures the candidate countries development and EU membership.

Key words: European integration, candidate country, political criteria, economic criteria

ევროსკეპტიციზმის მამოძრავებელი ფაქტორების ანალიზი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

ლელა მამალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აბსტრაქტი

ტერმინი „ევროსკეპტიციზმი“ პირველად 1985 წელს, ბრიტანულ მედიაში გაჩნდა ევროკავშირისა და მისი პოლიტიკისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების გამოსახატავად. დროთა განმავლობაში სხვა სახელმწიფოებშიც გავრცელდა და ევროკავშირის დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხად იქცა. დღესდღეობით, ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილ ინტერესთა ჯგუფებს ვხვდებით როგორც დამფუძნებელ, აგრეთვე, ახალ წევრ და არაწევრ სახელმწიფოებში. ევროკავშირის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ალიანსის წევრობა გულისხმობს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნაწილობრივ დელეგირებას ზეეროვნულ (სუპრანაციონალურ) ხელისუფლებაზე. სკეპტიკოსთა იდეოლოგია კი ეფუძნება არგუმენტს, რომ გრძელვადიანი ინტეგრაცია ეჭვქვეშ აყენებს ეროვნულ სუვერენიტეტს.

ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ევროსკეპტიციზმის ევოლუცია, განვითარების ეტაპები, კლასიფიკაცია და მისი მამოძრავებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. შეისწავლოს, თუ რა უქმნის საფუძველს ელექტორატს, დაუჭიროს მხარი ევროსკეპტიკური იდეოლოგიის მატარებელ პარტიებს/ მოძრაობებს. აგრეთვე, რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ევროგაერთიანებას მზარდმა ევროსკეპტიკურმა ტენდენციამ, რამდენად საფრთხისშემცველი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ევროგაერთიანებისთვის, აგრეთვე, მისი პოლიტიკისადმი ცალკეულ სფეროებში.

ნაშრომი ეყრდნობა კვლევის როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს. გამოყენებულია სამართლებრივი დოკუმენტების კონტენტ ანალიზი, გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები და პრაქტიკული შემთხვევები წევრ სახელმწიფოთა მაგალითზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულია რეკომენდაციები სიტუაციის სტაბილიზაციის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი; ევროინტეგრაცია; ინტერესთა ჯგუფები; ევროსკეპტიციზმი;

An Analysis of the Factors Driving Euroscepticism in EU Member States

Lela Mamaladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Abstract

The term "Euroscepticism" first appeared in British media in 1985 to reflect a contradictory attitude to the EU and its policies. Over time, it has spread to other countries and has become an important issue on the EU agenda. Today, there are skeptical interest groups as in the founding and the new member, as non-member states. Membership of the EU, as well as any other alliance, implies partial delegation of state sovereignty to supranational government. The skeptics' ideology is based on the argument that long-term integration calls into question national sovereignty.

The purpose of this paper is to analyze Euroscepticism: the evolution, stages of development, classification and its driving political, economic and cultural factors in EU Member States. To study what constitutes the electorate, to support the parties / movements that pursue the Eurosceptic ideology. As well as the consequences for the European Union of the growing Eurosceptic tendency, how dangerous it can be to both the European Union and its policy areas.

The paper is based on both qualitative and quantitative research methods. Content analysis of legal documents is used, statistical data and case studies of Member States are analyzed. Based on the results of the study, recommendations are made to stabilize the situation.

Key words: European Union; European Integration; Interest groups; Euroscepticism;

ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების საფრთხე და თანამედროვე გამოწვევები

ალიკა გუჩუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების მიღწევის და უზრუნველყოფის საკითხი. გლობალიზაციის და უახლესი ტექნოლოგიებს განვითარების ფონზე თანამედროვე მსოფლიო უფრო დაუცველი გახდა ისეთი საფრთხეებისაგან როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და გამოყენება. გლობალური პოლიტიკის მოთამაშეები ცდილობენ შეზღუდონ იმ სახელწიფოთა რიცხვი რომლებიც ცდილობენ განავითარონ თავიანთი სამხედრო ინფრასტრუქტურა და შექმნან მასობრივი განადგურების იარაღი და ცალკეული კომპონენტები. ბირთვული ტერორიზმის საფრთხე ევრო-ატლანტიკური სივრცისთვის წარმოადგენს საკმაოდ დიდ საშიშროებას. ტერორისტული და დანაშაულებრივი დაჯგუფებები მაქსიმალურად ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური ნივთიერებები. ამ მიმართულებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ეს ნივთიერებები არასათანადო პირობებში ინახება და შესაძლოა ტერორისტების ხელში აღმოჩნდეს.

ნაშრომში განხილულია ევრო-ატლანტიკური სივრცის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა იმ საკითხს თუ რა საფრთხეებს უქმნის მასობრივი განადგურების იარაღი და საერთაშრისო ტერორიზმი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების გარემოს. ამავე დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აღნიშნული საფრთხეების გავლენას გლობალურ უსაფრთხოებაზე და ევრო-ატლანტიკური სივრცის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გეოპოლიტიკური ასპექტები წარმოჩენას თანამედროვე გამოწვევების ფონზე.

ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერული ხედვა და ანალიზი ხელს შეუწყობს ევრო-ატლანტიკური სივრცის წინაშე არსებული საფრთხეების უკეთ გაანალიზებას და სწორ კლასიფიკაციას. მნივნელოვანია მომდინარე საფრთხეების პრევენცია რათა მოხდეს საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესება.

ნაშრომის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების წინაშე არსებული და მომდინარე საფრთხეების გამოვლენას და მათ წინააღმდეგ ეფექტირუ მიდგომის შემუშავებას.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს: თემის ისტორიულ ჭრილში განხილვას და გაანალიზებას ისტორიული ანალიზის მეთოდის საფუძველზე. ასევე, სიტუაციის ანალიზი, დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის შესწავლა-ანალიზი. ხოლო თემის დამუშავების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს რეალიზმის სკოლის ,,ბირთვული ტერორის", ,,Prisoner's Dilemma", ,,ძალთა ბალანსის" თეორია და ,,სექიურითიზაციის კონცეფცია".

საკვანძო სიტყვები: ბირთვული იარაღი, უსაფრთხოება, ტერორიზმი, ძალთა ბალანსი.

The Threat and Contemporary Challenges of Using Weapons of Mass Destruction in the Euro-Atlantic Space

Alika Guchua

Caucasus International University

Abstract

One of the pressing issues in international relations in the 21st century represents the issue of achieving and ensuring global security. Due to the globalization and the development of technologies, the modern world has become increasingly vulnerable against the dangers of international terrorism and the proliferation and using the weapons of mass destruction. Global policy actors are trying to limit the number of states trying to develop their military infrastructure and create weapons of mass destruction and their separate components. The threat of nuclear terrorism is a major issue for the Euro-Atlantic area. Terrorists and criminal groups are utmost trying to seize nuclear, biological and chemical substances. In this regard, a serious danger is that these substances are stored in improper conditions and the danger that it will appear in the hands of terrorist increases.

The work discusses the threats, risks, and challenges facing the Euro-Atlantic area. Considerable attention is paid to the dangers posed by weapons of mass destruction and international terrorism in the Euro-Atlantic security environment. At the same time, attention is paid to the impact of these threats on global security and the emergence of the geopolitical aspects of Euro-Atlantic defense and security policy against the arising contemporary challenges as well.

The scientific view and analysis presented in the paper will help to better analyze and classify the threats to the Euro-Atlantic space. It is important to prevent emerging threats to improve the international security environment.

The purpose of this paper is to facilitate the identification of existing and emerging threats to Euro-Atlantic security and to develop an effective approach against them.

The research methodology includes: discussing and analyzing the topic in historical context based on the method of historical analysis. Also, situation analysis, study-analysis of documentary and factual materials. The methodological basis for the elaboration of the topic are the theories of the School of Realism such as: "Nuclear Terror", "Prisoner's Dilemma", "Balance of Power" and the concept of "Securitization".

Keywords: Nuclear weapons, security, terrorism, balance of power.

ლტოლვილთა კრიზისი ევროკავშირში: ობოლ არასრულწლოვანთა ინტეგრაცია გერმანიაში, ბერლინში

სოფიო გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის, შპაიერის საერთო სამაგისტრო პროგრამა (საქართველო)

აბსტრაქტი

მილიონობით ადამიანი იძულებულია ყოველწლიურად დატოვოს სახლები კონფლიქტის, ძალადობის, ადამიანის უფლებების დარღვევის, დევნის და სტიქიური უბედურების გამო. ამჟამად მსოფლიოში 70.8 მილიონი ადამიანი იძულებით დევნილია.

ლტოლვილთა რიცხვი, რომლებიც აღწევენ ევროკავშირის ზონაში, შედარებით შეზღუდულია და არ შეიძლება შედარდეს ზეწოლასთან, რომელიც ხორციელდება ამ რეგიონის ქვეყნებზე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის ეკონომიკურ სიძლიერეს.

1999 წლიდან ევროკავშირი ცდილობს გაუმკლავდეს დევნილთა საკითხს, შესაბამისად მათი ძირითადი პრიორიტეტებია: უსაფრთხოება, ლტოლვითა რიცხვის გაზრდა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. შესაბამისად, ლისაბონის ხელშეკრულებაში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ითვალისწინებს მიგრაციის მიმართულებით ევროკავშირის კომპეტენციების გაფართოებას, ევროპარლამენტის

ახალი უფლებამოსილებების, სპეციფიკური რესურსებისა და ინსტრუმენტების დანერგვით. არსებითად, ერთადერთი საკითხი, რომლიც იქნა განხილული გულისხმობდა მიგრანტების იმ რაოდენობას, რომელიც უნდა მიეღო თითოეულ სახელმწიფოს. წლების განმავლობაში, აქცენტი კეთდებოდა მიგრაციული პოლიტიკის რეპრესიული და უსაფრთხოების ნაწილზე, რომელიც სამწუხაროდ დღესაც აქტუალურია.

მოხსენებაში, აქცენტი გაკეთდება იმ ფაქტზე, რომ 2-დან 1 ლტოლვილი ბავშვია, ევროკომისიის სტატისტიკიდან გამომდინარე, 111 000 ლტოლვილი ბავშვი ოჯახის გარეშეა (European Commission, factsheet, Last updated 19/06/2019). რამდენადაც, გერმანიას 2015 წლიდან აქვს გამოცდილება ობოლ არასრულწლოვანთა განსახლებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის პოლიტიკის დანერგვისა და განვითარების, მოხსენებაში განხილური იქნება გერმანიის მაგალითი, გერმანიის მიერ შემუშავებული პოლიტიკის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები, ასევე დღეს-დღეობით არსებული სიტუაცია და სამომავლო პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, მიგრაცია, პოლიტიკა

Refugee crisis in EU: Example of unaccompanied minors inegration in Germany, Berlin

Sopio Gelashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University with cooperation of University of Administrative Sciences of Speyer (Georgia)

Abstract

Millions of people are forced to leave their homes every year because of conflict, violence, human rights violations, persecution, and natural disasters. Currently, there are 70.8 million people forcibly displaced worldwide. The number of refugees reaching the EU is therefore relatively limited and cannot be compared with the pressure on the countries in this region, especially if we consider the economic strength of the EU. Since the 1999, the EU has been dealing with this issue, having in mind two priorities: security and the need to integrate an increasing number of newcomers. Indeed, one of the most important modifications introduced by the Lisbon Treaty is the enlargement of the competences of the EU in the field of migration with the introduction of new powers, specific resources and instruments for the European Parliament. Essentially, the only issue to be overlooked was the number of migrants

to enter each State. Unfortunately, over the years, the repressive and security part of migration policies was greatly accentuated and this is still the case today.

In this reports Special attention will be payed to the fact that 1 in 2 refugees is a child, therefor, 111 000 are alone and without family (European Commission, factsheet, Last updated 19/06/2019). The report will discuss the example of Germany, the advantages and disadvantages of German policy, as well as the current situation and future prospects.

Key words: max: European Union, Refuge, Policy, Migration

საქართველო და ევროკავშირის ბიზნესგარემო: სოციო-კულტურული გამოწვევები

გივი ბედიანაშვილი

ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აბსტრაქტი

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოს ევროპული ორიენტაცია აქტუალურს ხდის ევროკავშირის ბიზნესგარემოს სისტემურ ანალიზს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი პოტენციალის სრული გამოყენებისა და ევროსტრუქტურებში მისი ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, გლობალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე ძალიან აქტუალურია ჩვენთვის გლობალური ბიზნესგარემოს ადეკვატური სისტემური აღქმაც და მისი შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება, უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში სავარაუდოდ მოსალოდნელი გამოწვევების იდენტიფიცირება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება.

გლობალური ბიზნესგარემოს შემადგენლობაში სისტემური მიდგომის პოზიციებიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს ბიზნესზე არსებითად მოქმედი რამოდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ-კულტურული, სოციალურ-

დემოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური, მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები, ასევე თვით სოციალური პრობლემები და ფაქტორები.

საქართველოს ეფექტიანი და კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემურ-კონცეფტუალური პოზიციებიდან გამომდინარე, ლოგიკურია განხილულ იქნეს ბიზნესგარემო გლობალური და ევროკავშირის კონტექსტებით, მათ შორის არსებითი განსხვავებების გათვალისწინებით. მხედველობაშია მისაღები, რომ გლობალიზაცია და ევროინტეგრაციული პროცესები არა თუ არ გამორიცხავს ლოკალურ და სხვა მეზორეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებს, არამედ შესაძლოა უფრო აქტუალურს ხდის მათ კრიტიკულ ანალიზს, ხოლო მიზანშეწონილობის შემთხვევაში, საქართველოს ამა თუ იმ ზომით ჩართვას აღნიშნულ პროცესებში (სახელმწიფოს მიერ ბიზნესსტრუქტურების საერთაშორისო კომუნიკაციების სტიმულირებით და ხელშეწყობით, ასევე საჭიროების შემთხვევაში სათანდო ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირებით და ამოქმედებით).

ზოგადად ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და კონკრეტულად ბიზნესის ფუნქციონირების პროცესებში განსაკუთრებით დიდია სოციოკულტურული ფაქტორების მნიშვნელობა და როლი. ჩვენი აზრით, გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში უშუალოდ კულტურული პოტენციალის, როგორც ფაქტორის, სწორი განვითარება და ეფექტიანი გამოყენებაა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა. მართლაც, უკვე კარგად ცნობილი გამოთქმა: „კულტურას აქვს მნიშვნელობა“, ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ასევე ცნობილია, რომ მნიშნელოვანი როლი აქვს კულტურას საერთა შორისო ბიზნესშიც.

კულტურის და ფასეულობების მოდელირების და რაოდენობრივ გაზომვასთან მიმართებით ერთ-ერთი პირველი, მსოფლიოში აღიარებული, ჩვენი აზრით, ეფექტიანი მიდგომა, შემუშავებულია გირტ ჰოფსტედეს მიერ. ჰოფსტედესეულ მოდელში გამოყოფილია კულტურის რაოდენობრივად გაზომვადი ცალკეული ბლოკები, რომლებიც ერთიანობაში სისტემურად წარმოდგენენ საზოგადოების ფასეულობებს. ამ მოდელის ბოლო ვარიანტში წარმოდგენილია შემდეგი ექვსი ბლოკი და შესაბამისი ინდექსი: **ძალაუფლებრივი დისტანცია; ინდივიდუალიზმი, კოლექტივიზმის საპირისპიროდ; გაურკვევლობის მიუღებლობა; მასკულინობა (ფემინურობა); გრძელვადიანი ორიენტაცია (მოკლევადიანი ორიენტაცია); ინდულგენცია**. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო დაბალია ეს ბოლო ინდექსი, მით უფრო დიდია საზოგადოებაზე, ადამიანების ქცევაზე ტრადიციებისა და ნორმების შემზღუდველი ზემოქმედება და პირიქით, ამ ინდიკატორის დიდი მნიშვნელობა მიუთითებს პიროვნული იმპულსური ქცევის შედარებით მაღალ დონეზე).

კულტურულ ფასეულობათა არაერთგვაროვნება ევროპისა და ევროკავშირის ფარგლებში წარმოშობს ბუნებრივ კითხვას, როგორია კულტურული ფასეულობები საქართველოში და როგორია მათი პარამეტრების სასურველი მდგომარეობა მომავალში ევროინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით. საქართველოსთვის სასურველ მდგომარეობის ექსპერტული შეფასებების შესაბამისად გომოიკვეთა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია პრაგმატიზმის გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება.

კულტურა თავისი არსით არის არაფორმალური ინსტიტუტი და ბუნებრივია მისი (კულტურის) გრძელვადიან პერიოდში გარდაქმნის მექანიზმი განხილულ იქნეს ინსტიტუციონალიზაციის პროცესთან ერთად.

ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღები მართვის სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკების და მომავალი ბიზნესმენეჯერების მომზადების, მათი საქმიანი კულტურის ფორმირების პროცესის არსებითი სრულყოფა. აქ იგულისხმება არა მარტო უმაღლესი განათლების სისტემა, არამედ ადამიანის კულტურის ფორმირების მთლიანი ციკლის მომცველი კომპლექსი - ოჯახი, სკოლამდელი აღზრდა და უშუალოდ სკოლაც. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ, ამ ცვლილებების შესაბამისი დროის პერიოდი თაობების შეცვლის თანაზომადია. ვფიქრობთ, კულტურულ ფასეულობათა მიზანმიმართული სისტემური ცვლილებების ღონისძიებები უნდა აისახოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში.

საკვანძო სიტყვები: ეროკავშირის ბიზნესგარემო, კულტურულ ფასეულობათა გარდაქმნა

Georgia and the EU Business Environment: Socio-Cultural Challenges

Givi Bedianashvili

European University, Georgia

Abstract

In the modern conditions of globalization, Georgia's European orientation makes a systematic analysis of the EU business environment actual in order to fully exploit the new potential of socio-economic development and ensure its effective integration into the European structures. On the other hand, due to the demands of globalization, it is also very important for us

to have an adequate systematic understanding of the global business environment and make effective use of its capabilities to identify the expected challenges in the near and distant future, and to take appropriate measures if necessary.

Depending on the positions of the systemic approach within the global business environment, several essential components applicable to business can be identified: political, economic and legal institutions, socio-cultural, socio-demographic, natural-climatic, scientific-technical and technological factors, as well as social problems And factors.

According to the systemic-conceptual positions of Georgia's effective and complex socio-economic development it is logical to discuss the business environment with global and the EU contexts taking into consideration the essential differences. It should be taken into account that globalization and Eurointegration processes not excluding either local and other mezoregional integration processes, but also makes their critical analysis actual, and in the case of appropriaty involves Georgia at in the processes at a certain point (by stimulating and promoting International Communications of business structures by the State and if necessary, by forming and supporting the appropriate institutional mechanisms).

Generally the importance and role of the socio-cultural factors are especially big in the processes of socio-economic development and particularly business functioning of the countries. To our mind, under today's conditions of globalization, the proper development and effective use of cultural potential directly as a factor is a significant challenge for Georgia. Indeed, the well-known saying: "Culture matters" for the socio-economic development of any country has no doubt. It is also known that culture plays an important role in international business as well.

One of the first worldwide recognized, in our opinion, effective approaches to modeling and quantifying culture and values has been developed by Geert Hofstede. In the Hofstede model, quantitatively separate blocks of culture are allocated that systematically represent community values in unity. In the last version of this model the following six blocks and the corresponding indices are represented: **Power Distance; Individualism Versus Collectivism; Uncertainty Avoidance; Masculinity Versus Femininity; Long-term Orientation Versus Short-term Orientation; Indulgence Versus Restraint.** It should be noted that the lower the latter index, the greater the impact is on society, the limitations of traditions and norms on human behavior, and on the contrary, the high value of this indicator shows a relatively high level of personal impulsive behavior.

The inhomoginity of cultural values within Europe and the European Union raises a natural question as to what cultural values are in Georgia and what their preferences are in the future taking into consideration the processes of Eurointegration and globalization. According to the expert assessments of the desirable situation for Georgia, it has become clear that it's actual for our country to strengthen pragmatism, toreduce the power distance and to develop the individualism.

Culture is, by its nature, an informal institution, and it is natural to consider its (culture's) long-term transformation mechanism along with the institutionalization process..

In our opinion, it is crucial to perfect in essence the process of training the decision maker workers of state structure and future business managers and their business culture. This implies not only the higher education system, but also the complex that encompasses the whole cycle of human culture formation - the family, preschool upbringing and even school. However, it should be taken into account that the time period corresponding to these changes is proportional to the change of generations. We think that targeted systemic change events of cultural values should be reflected in the long-term strategy of the socio-economic development of the country.

Keywords: EU business environment, transforming the cultural values

პრობლემები და გამოწვევები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე

მირანდა მიქაძე, ეკატერინე ლომია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად საერთაშორისო არენაზე, რომლის მიმართაც საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი დღითიდღე იზრდება. საქართველოს ევროპული ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა ძალზე მჭიდრო და პოზიტიურია. ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში და მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკური ინტეგრაციას.

ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) შედეგს, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელშიც საქართველო ერთერთია 16 პარტნიორი ქვეყნისგან. იგი აძლიერებს კეთილდღეობას, სტაბილურობას და უსაფრთხოებას გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის.

ევროკავშირი მტკიცედ ერთგული რჩება თავისი პოლიტიკისა საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, ასევე ჩართულია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ასოცირების შეთანხმება არ არის გარანტი, რომ საქართველო

აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი, არამედ საშუალებაა იმისა, რომ ქვეყანა უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს.

ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობები მოიცავს პერსპექტივებს სამ ძირითად სფეროსთან მიმართებაში - დემოკრატია და კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება და სამხედრო თანამშრომლობა და ეკონომიკური ურთიერთობები.

პრობლემა საქართველოს დემოკრატია და კანონის უზენაესობა პოლიტიკური კულტურის დეფიციტში მდგომარეობს. საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტი არ არის ბოლომდე მზად, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით მიჰყვეს დემოკრატიულ დინებას.

ეკონომიკური განვითარების დონე, კორუფცია, მიგრაცია, კანონის უზენაესობა, შიდა დაპირისპირებები და არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია სერიოზულად აფერხებს ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. თუმცა საქართველო ევროკავშირის მხრიდან რეგიონში „მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად“ და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ლიდერად მიიჩნევა.

ჩემი მოხსენების მიზნია შევისწავლოთ გამოწვევები და პრობლემები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. თემის შესასწავლად გამოვიყენებ კვლევის თვისებრივ მეთოდებს, კერძოდ, ლიტერატურის მიმოხილვას, რომლის საშუალებით განვავითარებთ კვლევის თეორიულ ჩარჩოს და მიმოვიხილავთ სამეცნიერო სტატიებს, დოკუმენტებს.

ასევე შემთხვევის ანალიზის გარჩევა (Case study) დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ გაანალიზებაში.

„ევროპული პერსპექტივის“ მინიჭება/აღიარება იძლევა გაწევრიანების დაპირებას რომელიც ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს საქართველოს. აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ევროკავშირთან ურთიერთოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჩარჩოდ აღმოსავლეთ პარტნიორობა რჩება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ევროკავშირი, უსაფრთხოება

Problems and Challenges on the Road to Georgia's European Integration

Miranda Mikadze, Ekaterine Lomia

Caucasus International University

Abstract

The EU is one of the most important actors in the international arena and the expectations of the international community towards it increases day by day. Georgia's European integration is the most important foreign policy priority of our country. Relations between Georgia and the EU are very close and positive. The Association Agreement entered into force in July 2016. The purpose of which is political association and economic integration between Georgia and the EU.

The Association Agreement is the result of the European Neighborhood Policy (ENP), an important part of the EU's foreign policy, in which Georgia is one of the 16 partner countries. It enhances prosperity, stability and security among the enlarged EU and its neighbors.

The EU remains firmly committed to its policy of promoting territorial integrity of Georgia within its internationally recognized borders, engaged in the resolution of the Abkhaz and South Ossetian conflicts. The Association Agreement is not a guarantee that Georgia will necessarily become a member of the European Union, but an opportunity to bring the country closer to the European family.

EU-Georgia relations include perspectives on three main areas - democracy and the rule of law, security and military cooperation and economic relations.

The problem with Georgia's democracy and the rule of law is the shortage of political culture. Georgia's political landscape is not completely ready to lead its own democratic drive alone.

The level of economic development, corruption, migration, the rule of law, internal strife and the unsustainable political situation have seriously hampered the process of Europeanization of the country. However, Georgia is seen by the EU as a "key strategic partner" in the region and among the Eastern Partnership countries.

The purpose of my report is to explore the challenges and problems on the path of Georgia's European integration. I will use qualitative research methods to study the topic, in particular the literature review, through which we develop a theoretical framework for research and review scientific articles, papers.

A case study will also help us better analyze the real facts.

Granting / recognizing the "European perspective" signifies the promise of membership that Georgia still has to gain. Eastern Partnership remains one of the important frameworks of Eastern European countries' relations with the EU.

Key Words: The European Union, Georgia, Security

საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირში ინტეგრაციის შედეგად მოსალოდნელ სამართალდარღვევათა ტიპები და მათი მინიმიზების გზები

დავით ჭელიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ლევან ჭელიძე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

აბსტრაქტი

ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრირების პროცესის უაღრესად დადებით მოვლენად მიჩნევის მიხედავად შეუძლებელია ყურადღების გარეშე იქნეს დარჩენილი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების, (მათ შორის საბაჟო პოლიტიკის), ლიბერალიზების პროცესის თანმდევი ეკონომიკური დანაშაულის სავარაუდოდ მზარდი და თვისობრივი სახეცვლილების მოსალოდნელი ტენდენციები.

საქართველოს მიერ ევროკავშირი წინაშე ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების იმპლემეტაციის შედეგად მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებული ქვეყნის სამეწარმეო გარემოს ეკონომიკურ სამართალდარღვევათა მაპროვოცირებელ ფაქტორად მიჩნევის ზემოაღნიშნული საფრთხეების რეალობაზე მეტყველებს ასოცირების ხელშეკრულების V კარის -„ეკონომიკური თანამშრომლობა“ (Economic Cooperation) 282-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბერის №1516 განკარგულების ტექსტების ის იდენტური დებულებები რომელთა თანახმადაც: -„მხარეები მიზნად ისახავენ, გააძლიერონ თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება საგადასახადო თაღლითობის წინააღდეგ საბრძოლველად, კერძოდ კი დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) სისტემის ბოროტად გამოყენების კუთხით (კარუსელური თაღლიობა)“.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში ტერმინის „კარუსელური თაღლითობა“ გამოყენება თავისთავად განაპირობებს მისდამი განსაკუთრებულ ინტერესს რადგან მგავსი სახელწოდების დანაშაული საქართველოში გამოცემულ არს ერთ სხვა ნორმატიულ აქტში არ ფიქსირდება.

როგორც შესაბამისი ლიტერატურის, კერძოდ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force – FATF) მიერ გამოცემული დოკუმენტიდან[1] ირკვევა ევროკავშირის ქვეყნებში ამ სახელწოდებით მოიხსენებენ დამატებული ღირებულების გადასახადის უკანონო ჩათვლის-სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის მითვისების, მათთვის თვისობრივად ახალი დანაშაულის იმ სქემებისა და ქმედებების ერთობლიობას, რომლთა არსიც სამწუხაროდ საკმაოდ კარგადაა ცნობილი ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებზე მომუშავე ქართველი სპეციალისტებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის. რაც არავითარ შემთხვევაში არ განაპირობებს აღნიშნული საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულებას.

ზემოაღნიშნულს განსაკუთრებულ დატვირთვას მატებს ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზირებისა და ქვეყნაში არსებული სამწარმეო გარემოს მაქსიმალური ლიბერალიზების მიზნით ქვეყნის ხელისუფლების მიერ საგადასახადო ადმინისტრირების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის უკანასკნელი პერიოდის ისეთი ცვლილებები როგორსაც განეკუთვნება:

-2019 წლის პირველი იანვრიდან საგადასახდო სამართალდარღვევებისათვის სანქციების დაკისრების ხანდაზმულობის ვადის, პრაქტიკულად ყველა (მცირე გამონაკლისების გარდა), მეწარმე სუბიექტის ექვსიდან სამ წლამდე შემცირება;

-საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის #42 ბრძანების ამოქმედების შემდგომ, დამატებული ღირებულების გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატურად დაბრუნების წესის შემოღება.

[1] Laundering The Proceeds of VAT carousel Fraud FATF Financial Action Task Force 23 Febuary 2007 http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/Laundering%20the%20Proceeds%20of%20VAT%20Caroussel%20Fraud.pdf

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებათა შედეგად ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის ფონზე თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მთელ რიგ იმგვარ დებულებებს როგორსაც განეკუთვნება თუნდაც 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ძ“ ქვეპუნქტით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების იმპორტის დღგ-ისგან გათავისუფლება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს რა შესაძლებლობებს უქმნის აღნიშნული რეალობა არაკეთილსინდისიერ „მეწარმე სუბიექტებს“ „კარუსელური თაღლითობის“ სქემის ამოქმედებით საბიუჯეტო სახსრების, თითქმის ურისკოდ მითვისებისათვის.

ზემოაღნიშნული სქემის რეალიზებისათვის კრიმინალური დაჯგუფების მიერ უცხოეთში დაფუძნებული „A“ კომპანიის მეშვეობით ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლით დღგ-ისაგან განთავისუფლებული დაუშვად პესტიციდების, ამავე კრიმინალური დაჯგუფების წევრი-საქართველში დაფუძნებული „B“ კომპანიისათვის მიწოდება.

აღნიშნულ საქონელზე დამატებული ღირებულების გადასახადის დარიცხვის შემდგომ „B“ კომპანია საქონელს აწვდის, ამავე კრიმინალურ დაჯგუფებაში შემავალ საქართველოს რეზიდენტ „C“ კომპანიას და მიწოდებულ საქონელზე კუთვნილი გადასახადის გადახდის გარეშე (აღიარებული დავალიანების სახით) პრაკტიკულად კანონის დაურღვევლად ახდენს დღგ-ის დეკლარირებას.

„C“ კომპანია „B“ კომპანიისაგან მიღებულ საქონლს აწვდის ამავე დაჯგუფების წევრ იმ „A“ კომპანიას რომლის მიერ გახორციელებული იმპორტით დაიწყო განხილული სქემის რეალიზება. შემდგომ „C“ კომპანია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად „სრულიად კანონიერად“ ითხოვს საექსპორტო პროდუციაზე კუთვნილი დღგ-ის ბიუჯეტიდან დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

„კარუსელური თაღლითობის“ განხილული სქემების გამოყენებით ქვეყნის ბიუჯეტიდან თანხების მითვისებასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა ერთი წლით გახანგრძლივდეს იმ მეწარმეებისათვის

რომლებიც გამოიყენებენ დამატებული ღირებულების გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატურად დაბრუნების არსებულ წესს.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირში ინტეგრაციის თანმდევი პრობლემები

Types of offenses expected, resulted by Georgia's integration into the EU economy and ways to minimize them

David Chelidze

Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Levan Chelidze

Revenue Service of the ministry of Finance of Georgia

Abstract

Even though Georgia's integration into the European Union economical space is a highly positive event, It shouldn't ignore economic relations (including customs policy) with EU member states, Expected trends of qualitative and qualitative changes in the economic crime that accompany the liberalization process.

As a result of Georgia's implementation of its obligations under the Association Agreement with the European Union, The aforementioned dangers of being considered as a driving factor in the economic offenses of a highly transformed country's business environment are illustrated by chapter V of the Economic Cooperation article 282 and identical provisions of the texts of Government Decree No. 1516 of September 3, 2014, which read: - "The Parties shall seek to enhance cooperation and exchange of experience in the fight against tax fraud, in particular, the abuse of the value-added tax (VAT) system (carousel fraud)."

The use of the term "carousel fraud" in the foregoing documents is of particular interest to it because the crime of naming a carousel does not appear in any other normative act issued in Georgia.

As documented by the relevant literature, in particular, the Financial Action Task Force (FATF)[2], the EU countries refer to this as the misappropriation of value-added tax from the state budget. For them a combination of those new crime schemes and actions, unfortunately, the essence of which is well known to Georgian specialists and government agencies working on economic crime issues. Which in no way leads to a lazy attitude to the issue.

The aforementioned is particularly important to harmonize the country's legislative framework with the EU standards and to maximize the liberalization of the existing business environment in the country because of recent changes in the tax administration's regulatory framework:

Reduction of the limitation period of sanctions for tax violations from January 1, 2009, practically all (with few exceptions) to six to three years for the entrepreneur;

- Introduce the rule of automatic refund of overpaid value-added tax after the enactment of Order # 42 of February 14, 2019, of the Minister of Finance of Georgia.

In light of the abovementioned decisions, given the current situation in the country, we have in mind a number of provisions of the Tax Code of Georgia, including the exemption from VAT of agricultural pesticides and agrochemicals under Article 168 (1) (Z2), It should not be difficult to imagine what opportunities these aforementioned realities bring to dishonest “entrepreneurial subjects” by launching a “carousel fraud” scheme for budgetary funds, almost at risk.

To carry out the above scheme, the criminal grouping through the A-based company abroad is importing unauthorized pesticides exempt from VAT under the aforementioned Article of the Tax Code of Georgia and delivering them to a member of the B-Company based in Georgia.

After the value-added tax is levied on the said goods, Company B supplies the goods to a resident C company of the same criminal group and without paying tax on the supplied goods (in the form of recognized debt) virtually violates the VAT declaration.

Company "C" supplies goods received from Company "B" to the "A" Company of a member of the same group whose importation has begun. Subsequently „C“ Company in accordance with the applicable law "fully legally" requests immediate refund of VAT on export products.

To increase the efficiency of the fight against the misappropriation of funds from the budget of the country using the carousel fraud schemes. We consider it advisable that the limitation period provided for in Article 4 (7) of the Tax Code of Georgia shall be extended by one year to those entrepreneurs who apply the existing rule of automatic refund of overpaid value-added tax.

---

[2] Laundering The Proceeds of VAT carousel Fraud FATF Financial Action Task Force 23 Febuary 2007 *http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/Laundering%20the%20Proceeds%20of%20VAT%20Caroussel%20Fraud.pdf*

სამსახურის ძებნის და დაქირავების პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში

კესო სუმბაძე

ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამსახურის ძებნა და დასაქმება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანისთვის, თუმა მრავალ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა გამოვლენა და აღმოფხვრა უმნიშვნელოვანესია. შრომის ბაზარზე არსებულ ვაკანსიებს თუ გადავხედავთ მოთხოვნების სირთულეს და არარეალურობას შევამჩნევთ. ხშირია ისეთი ტიპის ხარვეზები როგორიცაა, არარეალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსანტებისადმი უყურადღებო და უპატივცემულო დამოკიდებულებები, გასაუბრების ხარვეზები, ნეპოტიზმი, უსამართლობის განცდა და სხვა მრავალი, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს.

ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ სფეროში არსებულ პრობლემებზე და იმის აუცილებლობაზე, რომ გათვალისწინებულ იქნეს ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილება, რათა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება და მათი გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები: სამსახურის ძებნა, დასაქმება, ევროპა.

Job search and hiring problems in EU countries

Keso Sumbadze

Business and Technology University

Abstract

Job search and employment are vitally essential issues for humans. However, there are significant drawbacks in this case in many countries, including Georgia. The detection and elimination of these drawbacks are vitally important. If we overview existing job vacancies on the labor market, complexity of requirements will be clearly noticeable. Drawbacks, such as unrealistic qualification requirements, careless and disrespectful attitudes toward competitors, flaws of interviewing, nepotism, a sense of injustice and many more are frequent cases and need attention.

Our purpose is to let the reader's attention focus on existing mentioned problems in this area and necessity to be considered the experience of leading European countries for carrying out recommendation development and their consideration by company.

Keywords: job search, employment, Europe.

კულტურული ტურიზმის გამოწვევები გლობალიზაციის კონტექსტში

ნიკო კვარაცხელია, ნინო დამენია

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მოხენებაში განხილულია შემდეგი საკითხები: კულტურული ტურიზმი, როგორც ტურიზმის მნიშვნელოვანი ფორმა; გლობალიზაცია და ტურიზმის ეკონომიკა; გლობალიზაციის სიკეთე და საფრთხეები კულტურული ტურიზმმისათვის; ევროსაბჭოს მიერ აღიარებული საქართველოს კულტურული მარშრუტები; ღირებულების გაზიარება, ლანდშაფტის დაცვა; კულტურული ტურის შინაარსის ტრანსფორმაცია. კულტურული ტურიზმი არის და მომავალშიც დარჩება საქართველოსთვის ტურისტული ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტად. კულტურული ფენომენის მრავალფეროვანი სპექტრი, განსაკუთრებით, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის უბადლო ნიმუშები, რომლებიც იზიდავს ტურისტებს, არის ტურისტების მოზიდვის ძირითადი საფუძველი. ამასთანავე ეფექტური პოლიტიკის შესამუშავებლად საჭიროა მეტი ინფორმაცია კულტურული ტურისტების შესახებ, განსაკუთრებით მათ სამოგზაურო მოტივაციებსა და მოთხოვნილებებზე. ეს კი, თავის მხრივ, საჭიროებს უფრო დეტალურ კვლევას, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის მიზნებთან.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ტურიზმის ეკონომიკა; კულტურული ტურიზმი; კულტურული ტური.

Challenges of cultural tourism in the context of globalization

Niko Kvaratskhelia, Nino Damenia

Saint Andrew the First-Called Georgian University of Patriarchate of Georgia

Abstract

The article discusses the following issues: Cultural tourism as an important form of tourism; Globalization and tourism economy; The benefits and dangers of globalization for cultural tourism; Georgian cultural routes recognized by the Council of Europe; Sharing of value, conservation of landscape; The transformation of the content of a cultural tour. Cultural tourism is and will remain one of the most important segments of Georgia's tourism market in the future. The diverse range of cultural phenomena, especially the unparalleled patterns of tangible and intangible heritage that draw tourists, are in fact the main basis for tourist attraction. In addition, in order to develop an effective policy it is vital to have more information about cultural tourists, especially their travel motives and needs. This, in turn, requires more detailed research closely in connection with the country's tourism policy goals.

Key words: Globalization; Tourism economy; Cultural tourism; Cultural Tour.

კიბერ ომი - როგორც ომის ახალი სახეობა და ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია

თორნიკე ზედელაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მსოფლიო მასშტაბით ტექნოლოგიების განახლება-განვითარება საჭიროა გლობალური უსაფრთხოებისთვის. მათ შორის, მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. საფრთხეების არსებული დონე კიბერსივრცეში ძალიან მაღალია. ყველა ქვეყანა ცდილობს, თავი დაიცვას, რომ არა ევროკავშირისა და ნატო-ს მიერ შემუშავებული პროგრამები, თავდაცვა იქნებოდა ინდივიდუალურ დონეზე და იქნებოდა არაეფექტური. რიგი ღონისძიებები და ზომები, რაც მიღებულია მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნების მიერ, უსაფრთხოების ჭრილში, ხშირ შემთხვევაში საკმარისი არ არის. კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტების და თავდაცვის სტრატეგიბის შემუშავება.

ჩვენს მიერ, განხილულია კიბერსივრცის უსაფრთხოების და მისგან მომდინარე საფრთხეებისგან დაცვის საკითხები. ევროკავშირის და ნატო-ს ერთობლივი მოქმედებები უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. ყურადღება ეთმობა ახალი საინფორმაციო სივრცის გლობალურ მნიშვნელობას, მის დადებით და უარყოფით ფაქტორებს. ასევე, საფრთხეებზე, რაც არსებობს კიბერსივრცეში, ამ საფრთხეების წარმოქმნის წყაროებსა და მათ სახეობებზე, საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე. საუბარია კიბერუსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის როლზე საერთაშორისო პოლიტიკაში. განხილულია საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და არსებული საფრთხეები.

ნაშრომში ასევე ყურადღება გამახვილებულია, თუ რა საფრთხეების წინაშე დგას საქართველო, რა კუთხით მიმდინარეობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობა, რა ურთიერთობები ჩამოყალიბდა ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან თუ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ნატოსთან. ბუნებრივია, ისეთი განვითარებადი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერანაირად ვერ დაიცავს თავს კიბერთავდასხმებისგან დამოუკიდებლად. მით უმეტეს, როცა ჩვენ ევროპა-აზიის გასაყარზე ვიმყოფებით და უამრავი დიდი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში ვართ მოქცეული. საქართველოს

სახელმწიფო უსაფრთხოების 2018 წლის ანგარიშში მკაფიოდ არის ასახული, თუ როგორ ცდილობენ რუსეთის ფედერაცია და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები ჩვენს ტერიტორიაზე ჰიბრიდული ომის გაჩაღებას. ამავე ანგარიშში, ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ჩრდილოელი მეზობელი გამალებით ცდილობს, გავლენა მოახდინოს ქვეყნის მოსახლეობაზე, შექმნას ილუზია, თითქოს ევროკავშირი, ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები არის მთავარი საფრთხე.

კიბერსივრცე რეალურად ბევრ საფრთხისმომცველ გარემოებებს ქმნის არამხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ გლობალური მასშტაბით, დღევანდელ რეალობაში კიბერშეტევები თან სდევს ყველა სამხედრო კონფლიქტს, რომელიც ჩვენს გარშემო მიმდინარეობს. კიბერნეტიკულ სივრცეში აქტუალურად გამოიყენება სხვადასხვა სოციალური ქსელები, რაც კიდევ ერთ-ერთ საფრთხისშემცველ მოვლენას წარმოადგენს. ასვე აქტუალურია „ფეიკნიუსების“ თემა, თუ ორიოდე წლის წინ "ფეიკი" გახლდათ სამოყვარულო დონეზე ინტერნეტ-სივრცეში, დღეს უკვე შექმნლია არაერთი ე.წ. ფაბრიკა, სადაც ათასობით ადამიანია დასაქმებული და მილიონობით დოლარიც იხარჯება. სწორედ ამიტომ დაიწყო ევროკავშირმა ყალბ ახალ ამბებთან ბრძოლის გაძლიერება და ევროკომისიამ დეზინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმაც კი წარადგინა. ამ გეგმის პრეამბულაში ნათქვამია, რომ უნდა შევინარჩუნოთ ერთიანობა და გავაერთიანოთ ძალისხმევა, რათა ჩვენი დემოკრატია უკეთ დავიცვათ დეზინფორმაციისგან.

ნაშრომის მიზანია არსებული მდგომარეობის შესწავლა, გაანალიზება, კვლევა, დასკვნების შემუშავება და ევრო-ატლანტიკური სივრცის წინაშე მდგარი საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტური მიდგომების შემუშავება.

კვლევის მეთოდი მოიცავს: საერთაშორისო და შიდა საკანონმდებლო ბაზის შესწავლა, რეკომენდაციების გაცნობა და ანალიზი, ისტორიული ფაქტების შესწავლა და გაანალიზება, დაკვირვება მსოფლიო და ადგილობრივ მედიაზე, დაკვირვება სოციალურ ქსელებზე, ევროკავშირისა და ნატოს პროგრამების, რეკომენდაციების

შესწავლა და გაანალიზება. თემის საფუძველს წარმოადგენს საკითხებისადმი ემპირული თეორია.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები: ნაშრომში მოყვანილი ფაქტები, მოსაზრებები და მსჯელობა უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, ასევე, კვლევითი ინსტიტუტების ნაშრომებისა და სტატიების ანალიზს. გამოყენებული იქნება ოფიციალური დოკუმენტები, მეცნიერული კვლევები. ვინაიდან, დღეს კიბერ-ომი, იბრიდული ომი, საინფორმაციო ომი მთელ მსოფლიოში აქტუალური საკითხია, ბუნებრივია, მიდის გამალებული მეცნიერული მუშაობა პრობლემების გადასაჭრელად და უკვე გაჩნდა ზღვა მასალაც, ყოველდღიურად ჩნდება ახალი სტატიები და კვლევები. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ისმება კითხვები: კონკრეტულად რა სახის კიბერ-ომებთან გვაქვს საქმე? რა მეთოდებით უმკლავდება თანამედროვე მსოფლიო ე.წ. "სისხლიან დრაკონად" მონათლულ მოვლენას? როგორია ჰიბრიდული ომის სამხედრო-სტრატეგიული პარამეტრების ზოგადი მიმართულებები? როგორ ხდება მოწინააღდეგის არა ფიზიკური, არამედ მორალური და პოლიტიკური დამარცხება და ასე შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: კიბერომი, ევროკავშირი, ნატო, საფრთხეები.

Cyber war - war as a new species and the European Security Strategy

Thornike Zedelashvili

Caucasus International University

Abstract

World-wide technology upgrades are needed for global security. Among them, it is important for Georgia. The current level of threats in cyberspace is very high. All countries

are trying to defend themselves. Without the programs developed by the EU and NATO, defense would be an individual responsibility of each country and would be ineffective. A number of measures taken by various countries around the world in the security context are often not sufficient. In terms of cyber security, the role of international organizations, the development of unified strategic documents and defense strategies is important.

We discuss cybersecurity security and the dangers posed by it, as well as joint actions by the EU and NATO to create a safe environment. Attention is paid to the global significance of the new information space, its pros and cons. Also, the dangers that exist in cyberspace, the sources and types of these threats, at the international and regional level. This paper is about the role of cyber security policy in international politics. Georgia's cyber security strategy and threats are discussed.

The paper also focuses on the dangers facing Georgia, on the cooperation with the international community, on the relations with the leading European states or with the United States, EU member states and NATO. Naturally, a developing country like Georgia cannot protect itself independently from cyberattacks. Especially when we are at the crossroads of Europe and Asia and are in the interests of many great states. Georgia's 2018 State Security Report clearly outlines how the Russian Federation and other countries' special services are trying to launch a hybrid war on our territory. The same report emphasizes that the northern neighbor is increasingly trying to influence the country's population, creating the illusion that the EU, NATO and the United States are the main threat.

Cyberspace actually creates many threatening environments not only nationally but globally, in today's reality cyberattacks accompany all the military conflicts that are going on around us. Different social networks are being used extensively in cybernetics, which is one of the more dangerous events. The topic of "Fakenews" is also relevant, if two years ago "Fake" was an amateur level in the internet space, many so-called "Fake" have already been created today. A factory where thousands of people are employed and millions of dollars are spent. That is why the EU has begun to step up its fight against fake news and the European

Commission has even put forward an action plan against the spread of misinformation. The preamble to this plan says that we must maintain unity and join efforts to better protect our democracy from misinformation.

The purpose of this paper is to study, analyze, research, draw conclusions and develop effective approaches to the threats facing the Euro-Atlantic area.

Research methodologies include: study of international and domestic legal framework, study and analysis of recommendations, study and analysis of historical facts, surveillance of world and local media, surveillance of social networks, study of and analysis of EU and NATO programs. The basis of the topic is an empirical theory of issues.

Methodological background of the research: The facts, opinions and reasoning given in this work should be based on the analysis of papers and articles by various international and local organizations, as well as research institutes. Official documents, scientific research will be used. Since cyber war, hybrid war, information war is a pressing issue all over the world today, naturally, scientific work is going on to solve problems. A lot of material has already been published on this issue, new articles and research are emerging every day. Depending on the purpose of the paper, the following questions arise: What kind of cyber-wars are we dealing with specifically? What methods does the so-called modern world use to cope with this enormous problem? What are the general directions of the military-strategic parameters of the hybrid war? How to achieve not physical, but moral and political defeat of the oponent, and so on.

Key words: Ciberwar, European Union, Nato, threat.

ტერორისტული ორგანიზაციის სპეციფიკა

თორნიკე შურღულაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ტერორიზმი გულისხმობს საკუთარი ნების ძალისმიერი მეთოდებით გავრცელებას და პოლიტიკური კონტროლის დაწესებას მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თალიბანი, ავღანეთში. არსებობს უამრავი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც მე-20 საუკუნიდან აქტიურად მოქმედებს გლობალური მასშტაბით: ალ ქაიდა, ალ შააბაბი, ისლამური სახელმწიფო, ფარკი და სხვა მრავალი ორგანიზაცია. 2019 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 5 სექტემბრამდე, გლობალური მასშტაბით 1413 ტერორისტული შეტევა განხორციელდა, რომელსაც 6384 უბედური შემთხვევა გამოიწვია.

თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაცია სტრუქტურულად არაფრით ჩამოუვარდება საშუალო დონის სახელმწიფო სპეცსამსახურს. ჯერ კიდევ 2000 წლის მაისის თვეში, მანჩესტერში, ინგლისში ბრიტანეთის უსაფრთხოების სამსახურებმა ალქაიდას წევრობაში ეჭვმიტანილის საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს ტერორისტის სასწავლო სპეც. კურსი, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის წევრისთვის აუცილებელ კვალიფიკაციას და პიროვნულ ხასიათს და თვისებებს; ყალბი დოკუმენტების დამზადება და გამოყენება, ორგანიზაციის სამხედრო ბაზა, კონსპირაციული ბინები და სამალავები; კომუნიკაცია და ტრანსპორტი; იარაღის შესყიდვა და მათი ტრანსპორტირების საკითხები; წევრების უსაფრთხოება; უსაფრთხოების გეგმა; სპეციალური ტაქტიკური ოპერაციები; შპიონაჟი; გატაცება და პირების ლიკვიდაციის სხვადასხვა მეთოდები სხვადასხვა ტიპის ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის საშუალებით და მრავალი ოპერატიული, ტაქტიკური და ლოჯისტიკური დეტალი, რომელიც ტერორისტული ორგანიზაციის სისხლიან აქტს მათთვის წარმატებულს და შესაძლებელს ხდის.

ფაქტობრივად, კარგად ორგანიზებული და თანამედროვედ აღჭურვილი ტერორისტული ორგანიზაცია, სპეცსამსახურების სრულფასოვან მეტოქედ გარდაიქმნა და უკვე სახელმწიფოებრივი ნიშნების მატარებელიც კი გახდა (ტერიტორია, დროშა, სიმბოლიკა...).

ტერორისტული ორგანიზაცია სტრუქტურულად არის: ცენტრალიზებული/ბიუროკრატიული; ჰიბრიდული და დეცენტრალიზებული.

ვისგან შედგებიან ტერორისტული ორგანიზაციის აქტიური ქსელები:

- პირები ან მცირე ჯგუფები, რომლებიც ერთი მიზნის გარშემო ერთიანდებიან

- რომლებიც ადვილად ადაპტირდებიან ნებისმიერ გარემოსა და პირობებში
- გააჩნიათ რეგენერაციის უნარი
- სხვადასხვა აქტივობების ბოლოს რჩება ყველაზე კარგად მომზადებული და ორგანიზებული ჯგუფი

ზოგადად ტერორისტულ ორგანიზაციაში აგენტების შეგზავნა რთულია, ხშირ შემთხვევაში, დაჯგუფების წევრებისთვის უცნობია სხვა უჯრედის არსებობა. რომელიმე წევრის დაკავების შემთხვევაში, კრიტიკული ინფორმაცია რჩება დაცული. ორგანიზაციის შეკრული და ლოიალური წრე ზღუდავს უცხო პირთა შეჟონვას. ერთმანეთთან დაკავშირებული ქსელები იყენებენ ე.წ "შეზღუდულ კავშირს", რაც მინიმალურს ხდის გამოაშკარავების ალბათობას. სახეზეა ოპერატიული და ფარული მოქმედებების მთელი სისტემა, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციებს დაფინანსების და სხვა რესურსების არსებობის შემთხვევაში საშუალებას აძლევს მყარი ბაზა შექმნან განუვითარებელ, განვითარებად ან მხარდამჭერ ნებისმიერ სახელმწიფოში და იმ ტერიტორიიდან განახორციელოს წერტილოვანი დარტყმები ან მასშტაბური ტერორისტული აქტი, რაც შემდგომში მიიპყრობს მსოფლიო მედიის ყურადღებას და ხშირ შემთხვევაში ე.წ. PR და ცნობადობის მოპოვება არის ტერორისტული ორგანიზაციებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი.

The specifics of the terrorist organization

Tornike Shurghulaia

Sokhumi State University

Abstract

Terrorism implies the use of force to spread one's will and establishment of political control. We can take for example the Taliban in Afghanistan. There are many terrorist organizations which have been active on a global scale since the 20th century: Al Qaeda, Al Shabaab, Islamic State, Fark and many other organizations. From January 1, 2019 to September 5, 2019, there were 1413 terrorist attacks on a global scale, which caused 6384 accidents.

The modern terrorist organization is not structurally less than the mid-level state security services. As early as May 2000, the British security services in Manchester, England, recovered a terrorist's training spec. course from the residence of the suspect in Al Qaeda membership, which includes the necessary qualification, personal character and qualities for the member of the organization such as making and using false documents, military base of the organization, conspiracy flats and hides, communication and transport, purchase of weapons and transportation issues, security of members; security plan; special tactical operations, espionage; kidnapping and various methods of liquidation of persons with different types of cold and firearms and many other operational, tactical and logistical details that make the terrorist act successful and possible for them.

As a matter of fact, a well-organized and well-equipped terrorist organization has turned into a full-fledged rival of the special services and even it has become the bearer of state signs such as territory, flag, symbols.

The terrorist organization structurally is centralized, bureaucratic, hybrid, and decentralized.

By whom the active terrorist organization consists of:

- Persons or small groups that are uniting around one goal;
- Persons or small groups who can adapt to any environment and conditions easily;
- Those who, have the ability, to regenerate;
- At the end of the various activities the most well-trained and organized group remains.

In general, it is very hard to send agents into a terrorist organization. In many cases, group members are unaware of the existence of another cell. In case of arresting any of the members, the critical information remains secure. A cohesive and loyal circle of organization restricts the leak of strangers from outside. Interconnected groups use so-called "limited connection", which minimizes the probability of reveal. There is a whole system of operational and covert actions, which give an opportunity to terrorist organizations to create a solid base in undeveloped, developing or in any supporting state in case of financing and if other resources are available and carry out targeted attacks or large-scale terrorist attacks from the territory, which will draw attention of

the world's media and in many cases, so-called PR and gaining to be well-known is the most important issue for terrorist organizations.

სოციალურ-სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლათინური ტიპის ნოტარიატის ევოლუციაზე ევროპაში

მედეა კოპალიანი

რეგიონული განვითარების და სტრატეგიული მართვის ინსტიტუტი.

აბსტრაქტი

თანამედროვე ნოტარიატი და ნოტარიუსი დაფუძნებულია საფრანგეთში 200 წლის წინ ცნობილი ,,25 ვანტოზის'' (16 მარტი 1803წ., რომელიც შეესაბამებოდა 25 ვანტოზს, საფრანგეთის რევოლუციის მე-11-ე წელს) ორგანული კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ლათინური ნოტარიატის მოდელი.

ნოტარიატის საერთაშორისო კავშირი შეიქმნა 1948 წელს არგენტინაში, ქალაქ ბუენოს-აირესში.

1989 წლიდან ლათინური ნოტარიატის სისტემა ფართოდ ინერგება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ლათინური ნოტარიატი აერთიანებს რომაულ-გერმანული სამართლის ქვეყნებს: ალბანეთს, ბელგიას, გერმანიას, ესტონეთს, საფრანგეთს, საბერძნეთს, იტალიას,ხორვატიას, ლიტვას, ლატვიას, ლუქსემბურგს, მალტას, მონაკოს, ჰოლანდიას, პოლონეთს, პორტუგალიას, რუმინეთს, რუსეთს, სანმარინოს, შვეიცარიას, სლოვაკეთს, სლოვენიას, ჩეხეთს, უნგრეთს და სხვ.

ლათინურ ნოტარიუსებს, რომელთაც მეორენაირად „თავისუფალი ნოტარიატის" წარმომადგენლებსაც უწოდებენ, აქვთ ჰიბრიდული სტატუსი, არიან როგორც საჯარო მოხელეები (მომსახურების გაწევისას ექსკლუზიური უფლებებით სარგებლობენ), ასევე, თავისუფალი პროფესიის პირები (სამართლებრივი მომსახურების გაწევისას სხვა სამართლებრივ პროფესიებთან კონკურენციაში იმყოფებიან). „საჯარო ფუნქცია განსაზღვრავს ნოტარიუსის საქმიანობის შინაარსს, ხოლო თავისუფალი პროფესია ქმნის საქმიანობის ფორმას".

ვინაიდან ევროპის ყველა სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი კანონმდებლობა, შესაბამისად ნოტარიუსის როლიც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვითაც.

საკვანძო სიტყვები: ნოტარიუსი, ლათინური ნოტარიატი,ევროპა.

Social-Legal Factors, Which Impact On the Latin Type Notary Evolution in Europe

Medea Kopaliani
Institute of Regional Development and Strategic Management

Abstract

Modern notary and notary public is based in France 200 years ago on the basis of organic law of well-known "25 ventose" (16th of March 1803 y., which was in compliance with 25 ventose, on 11th year of French Revolution), according to which the model of Latin Notary was created.

International Union of Notary has been created in 1948 in Argentina, the city of Buenos-Aires.

Since 1989 the system of Latin Notary is fully integrated in different countries of Europe. Latin Notary unifies the countries of Roman-German law: Albania, Belgium, Germany, Estonia, France, Greece, Italy, Croatia, Lithuania, Latvia, Luxemburg, Malta, Monaco, Holland, Poland, Portugal, Romania, Russia, San-Marino, Switzerland, Slovakia, Slovenia, Czech, Hungry, etc.

Latin Notary publics, who in another way are referred as the representatives of "Free Notary", have hybrid status, they are as public officials (they have exclusive rights when providing the service), also, free profession individuals (they are in competition with other legal professions when providing legal services). "Public function determines the content of notary's activity, while the free profession creates the form of activity".

As every European state has its own legislation, the role of Notary differs according to countries too.

Key words: Notary public, Latin Notary, Europe.

,,ევროკავშირში გაწევრიანების ღირებულება-ადამიანის უფლებები"

არინა თავაქარაშვილი / ზურაბ გუნაშვილი, სოფიო კაკოიშვილი

თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს დაიშალა საბჭოთა კავშირი და პოლიტიკურ რუკაზე ჩამოიშალა ორპოლუსიანი მსოფლიო. პოლიტიკურ არენაზე დარჩა ძლიერ სახელმწიფოდ ამერიკის შეერთებული შტატები და არენაზე გამოვიდა ეკონომიკური მრავალფეროვნებით ჩინეთი და ტექნიკური შესაძლებლობებით გამორჩეული იაპონია.ამ ფონზე ორ მსოფლიო ომგადატანილ ევროპას მიეცა ისტორიული შანსი, რომ რიგი სახელმწოფოების შეთანხმებული გერთიანებით შეექმნა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოში წონად პოლუსს შექმნიდა და მოიპოვებდა ერთობლივ ზეგავნელას. დრომ და ვითარებამ ეს პროცესი რეალობად აქცია.

ისტორიული წარსულიდან ცნობილია ალექსანდრე დიდის მცდელობა საერთო ევრაზიული სახელმწიფოს შექმნისა, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა სამი პრინციპი-ენობრივი, კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობა, მსგავსი იდეა ევროპული სახელმწიფოს შექმნისა ჰქონდა ნაპოლეონ ბონაპარტსაც, თუმცა ვერ განახორციელა.

მეოცე საუკუნეში ევროპული ინტეგრაციის იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა წამოაყენა 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში (შვეიცარია) სიტყვით გამოსვლისას. მან ისაუბრა ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე. ამ იდეას მაშინ განვითარება არ მოჰყოლია.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივა - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები, რომელსაც1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე - ევროკავშირი"ეწოდა

მე-20 საუკუნის მიწურულს ევროკაშირის შექმნით მსოფლიო არენაზე ახალი ზეგავლენის მქონე და ანგარიშგასაწევი გაერთიანება გამოვიდა, რომელიც პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობაა და ეფუძნება ყველაზე მთავარს პიროვნების თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვას.

ევროპის გაერთიანების ფონზე საქართველო ხელმეორედ იწყებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას. ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელმაც საქართველოს ისტორიაში რეფერენდუმის (1991 წლის 31 მარტი) გზით ხელმეორედ აღადგინა დამოუკიდებლი სახელმწიფო (1991 წლის 9 აპრილი). საქართველომ იმჟამად შეძლო გამხდარიყო გაეროს წევრი ქვეყანა და მომავალში დაემყარებინა ურთიერთობა ეუთოსთან, 1999 წელს გამხდარიყო ევროსაბჭოს წევრი და ამ საერთაშორისო ამ ტრიბუნიდან ესაუბრა ჩვენი ქვეყნის ღირებულებებზე, პრობლემებზე და გამოწვევებზე.

ახლაც, ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა მძიმე პოლიტიკურ გზას გადის, რომელსაც თან ახლავს კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე, კონფლიქტი და ომი აფხაზეთში და უმძიმესი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რამაც ხელშემშლელი როლი შეასრულა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

ევროკავშრი განვითარდა, მისი წევრები გახდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და პოსტ საბჭოთა რესპუბლიკები, ბალტიის ქვეყნები. ამ ქვეყნების, როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიური ცხოვრების დონე გაუმჯობესდა და გაძლიერდნენ

საერთაშორისო არენაზე ურთიერთკავშირებით. ასეთ დროს საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისაკენ ქვეყნის განვითარებისათვის ყველა სპექტრში არის გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი, რასაც თან ახლავს სამომავლო პერსპექტივაში ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერება, პიროვნების თავისუფალად განვითარების და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

ამ გზაზე უმნიშვნელოვანესია ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლის ხელშეკრულების ამოქმედება, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს ევროპული სახელმწიფოების გაცნობისა, არამარტო ისტორიულ ჭრილში არამედ უფრო ფართო სპექტრით დღევანდელი გადასახედიდან.

საქართველოსთვის ევროპა და ევროქრისტიანული სივრცე ისტორიული ღირებულებაა. თუ ჩვენი წინაპრები ათონზე, ჯვარზე, პეტრიწონზე რელიგიურ - კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს აშენებდნენ, დღეს ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა შეძლონ თანამედროვე ბიზნეს-ეკონომიკური სივრცის შექმნა და ევროპულ ბაზარზე საკუთარი წარმოების რეალიზაციის შესაძლებლობა, ხოლო ახალგაზრდებს უნდა მეტი შესაძლებლობა მიეცეთ ევროპულ უნივერსიტეტებში განათლების მისაღებად.

ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლებრივ სივრცეში სამართლიანი სასამართლოს არსებობაა. ამ პრობლემის გადაჭრის გზა იძლევა საშუალებას დავუახლოვდეთ ევროკავშირს და მომავალში წევრი ქვეყანაც გავხდეთ. ჩვენ უნდა მოვნახოთ ევროკავშირიში და ევროპულ სივრცეში ჩვენი დამკვიდრების შესაძლებლობა. რაც გაზრდის უსაფრთხო გარემოს და გააფართოვებს სახელმწიფოებრივ კავშირებს. ევროკავშირსაც ჭირდება სამხრეთ კავკასიის ისტორიულად ევროპული ღირებულებების მატარებელი ქვეყანა მნიშვნელოვანი გეო-პოლიტიკური და გეო-სტრატეგიული შესაძლებლობებით.

Value of European Membership-Human Rights

ArinaTavakharashvili / ZuraGunashvili, SofioKakoishvili

Sulkhan-Saba Orbeliani University.

Abstract

At the end of the nineties of the XX century Soviet Union collapsed and it triggered the appearance of the two-pole world. The United States of America existed as a powerful country and China appeared with its economic variety and Japan as a distinguished country with its technological abilities. Europe that experienced two world wars, had a historic opportunity to set up an organization, due to some countries agreement which would have created an equal pole and would have influenced the world. Time and circumstance made this process a reality.

From the history, it is a known fact that Peter the Great tried to create common Euro-Asian state, which would have been based on 3 principles: a cultural and political-economic unity. Napoleon Bonaparte had the same idea as well, but he was not able to materialize it.

In the XX century Winston Churchill, the Prime Minister of Great Britain got an idea of European integration in Zurich (Switzerland) in 1946 September 19, during his speech, he spoke about necessity of creating united states of Europe, but this idea, was kept as an idea.

The initial start of European integration is 1950, when, the French Minister of Foreign Affairs Robert Shuman, due to Jean Monnet's initiative to unite western Europe's coal and steel ores, which was called European Union, based on 1992 Maastricht's Treaty.

At the end of the XX century, due to creation of European Union the world witnessed existence of the influential organization that is a unity of principles and values, based on protection of human freedom and rights.

Along with Europe's integration, Georgia tended to build an independent, state the first multi-party elections was held, via the referendum (1991 April, 9) Georgia gained back its independence. Then Georgia managed to become the member country of U.N (United Nations) and had relationship with it. Georgia became the member of European Council in 1999. As a country, Georgia wanted to speak up about our country's values, problems and challenges.

Currently, our independence experiences difficulties along with the conflict on the territory of South Ossetia, war in Abkhazia and a horrible 2008 war, between Russia and Georgia, charged Georgia's European integration.

European Union developed. East European, Post-Soviet and Baltic countries became its members. The political and economic standards of these countries improved and they became more powerful in the world. Aspiration to European Union is a crucial factor for Georgia in every field. This will strengthen our country's security policy. This will assist free human development and protect human rights.

The crucial moment on this part is enforcement of visa free agreement, this enables our citizens to get acquainted to European states, not only in a historical light but much wider, in a contemporary view.

Europe and European-Christian space is a historical value for Georgia. Our ancestors constructed religious, cultural educational centers in Atoni Jvari, Pertritsoni currently. Our citizens must create a contemporary business -economic space and an opportunity to export production in Europe. Young generation should have a chance to obtain education at European Universities.

Our challenge is Human Rights protection and existence of fair court. The solution of this problem, gives an opportunity to approach Europe and become a member country. We should find a chance to homestead in Europe. This will increase security for our environment and will expand relationships. European Union needs itself, a historically European, South Caucasian country, with its European values and its Geo-political, Geo-strategic opportunities.

ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები

ინდირა პაპუნიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალურ და ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში სახელმწიფოებთან ერთად მთავარ აქტორებს საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომელთა შორისაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და ევროკავშირი, რომლებიც ერთიანად ქმნიან საერთაშორისო სისტემის პოლიტიკურ და სამართლებრივ ჩარჩოს.

ნატოსა და ევროკავშირის წევრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მცირე და განვითარებადი სახელმწიფოსთვის როგორც საქართველოა, რომელიც დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს საკუთარ უსაფრთხოებას. შესაბამისად საქართველოს მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრინება. ამასთან ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე უამრავ პრობლემას ხვდება, რომელთა ნაწილი ქვეყნის გარედან, ნაწილიც კი შიგნიდან მოდის.

სწორედ საქართველოს ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ პრობლემებზე ვისაუბრებთ ნაშრომში. დეტალურად იქნება გაანალიზებული თითოეული მათგანი და შესაბამის კონტექსტში განხილული. ასევე, იმაზე თუ როგორია საქართველოსადმი- როგორც მცირე სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება საერთაშორისო ორგანიზაციებში და რა საფრთხეების წინაშე დგას იგი ევრო-ატლანტიკურ გზაზე.

კვლევის დროს გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: შემთხვევის შესწავლა (Case Study), რაც გულისხმობს რეალური ფაქტების ანალიზს. საკითხი აქტუალურია თავისი არსით, რადგან მიუხედავად არა ერთი მცდელობისა საქართველო დღემდე არ არის ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამასთან, იგი აქტიურად მუშაობს (საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით)ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევა თავისთავად არის ემპირიული, ვინაიდან გვაქვს საშუალება თვალყური ვადევნოთ და გავაანალიზოთ არსებული სიტუაცია.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ნატო, კონფლიქტები, მინი-ნაციონალიზმი, სეპარატიზმი, მცირე სახელმწიფო.

Factors impeding the integration of Georgia into Euro-Atlantic structures

Indira Papunidze

Caucasus International University

Abstract

In the modern global and interdependent world, the main actors, together with states, are international organizations, including the North Atlantic Treaty Organization (NATO) and

the European Union, which jointly form the political and legal framework of the international system.

Membership in NATO and the EU is especially important for a small and developing country like Georgia that cannot independently ensure its own security. Accordingly, the main foreign policy goal of Georgia is to join the Euro-Atlantic structures. However, on the way to Euro-Atlantic structures, it faces many problems, some of which come from outside of the country and some arise even inside it.

In this work we will discuss the problems existing on the way to the integration of Georgia into Euro-Atlantic structures. Each of the problems will be analyzed in details and discussed in the relevant context. Also, the works discuss the attitude towards Georgia, as a small state in international organizations and what dangers it faces on the Euro-Atlantic path.

Qualitative research methods will be used during the research, namely: Case Study, which involves the analysis of real facts. The issue is relevant in its essence, because despite all efforts Georgia is still not a member of NATO and EU. At the same time, it is actively working (in terms of domestic and foreign policy) to join the Euro-Atlantic structures. This research itself has an empirical character, as we have the ability to track and analyze the current situation.

Key Words: EU, NATO, conflicts, mini-nationalism, separatism, small state.

კონვერგენციის პროცესი თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში

ქართლოს ფრიდონაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია და ადამიანის ძირითადი უფლებები ასახულია სხვადასხვა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებში მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი მოწყობისა, რასაც ავტორი მიიჩნევს კონვერგენციის პროცესის შედეგად და გვთავაზობს მმართველობის გადაჭარბებულ იდეოლოგიზაციისაგან დაცვას და მხარს უჭერს მენეჯერთა, როგორც საშუალო სოციალური ფენის ფორმირებას სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მძლავრი წახალისების მეშვეობით.

Process of convergence in the contemporary constitutionalism

Kartlos Pridonashvili

Sokhumi State University

In the publication the author expresses the opinion that the right of property, the right of dignity and freedom of expression, also the concept of the socio-judicial government have become the basis of any classical political ideology. In the end, it can be said that these classic political ideologies have lost their relevance in the modern political process.

The publication also provides a discussion on the constitutional status of municipalism, based on examples from different countries and suggests the idea about transformation of the municipal system into a fourth power and as a result people become the consumers of power instead of the source of power. People are losing the meaning of political phenomenon and are transferring into economic phenomenon.

According to the author all the above mentioned arguments are related to the theory of convergence and the process of convergence has influenced not only systems of values, but also - the administrative- territorial system of the state and forms of government.

At the end of the publication, the author seeks to present the expecting results of convergence and find the ways of regulating and solving problems concerning this issue.